რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდ...

ხამშაბათი, 9 იანვარი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთი ღირს: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба“. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადად მოლაპარა... ძლება 10—12 საათამდე. რედაქ... ტორის ადრესი: თფილისი, გოლ... პექტი № 12. Тифлисъ, Головинск... спектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 5 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 5

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის

ყოველ დღიურ გაზეთ

„ერთობა“-ზე

ხელის მოწერის პირობები:

ერთი თვით — 4 მან. 50 კაპ. | ექვსი თვით — 27 მანეთი
ორი თვით — 9 მანეთი. | ერთი წლით — 50 მანეთი
სამი თვით — 13 მან. 50 კაპ. | ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ.

ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდე (ე. ი. პირველ სამ თვეს) ყოველ შემთხვევაში უცვლელი დარჩება, შემდეგ შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ გვაიძულა.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით: Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА“.

ამხანაგებს და თანამგრძნობთ ვსთხოვთ ხელის მოწერა ნუ დააყოვნებენ.

ოლღა სპირდონის ასული მაჭავარიანისა, სოლომონ და დავით ილიას ძე მაჭავარიანები, ნინა, ელენე, თამარი და ქეთევან მაჭავარიანის ასულნი, ნიკო დავითის ძე მამულაიშვილი, ანნა მაჭავარიანის ასული ანანიაშვილისა და ნიკო ზაქარიას ძე მაჭავარიანი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და განსვენებულის ამხანაგებს, რომ ქალაქ შერიფხანეში პირველ იანვარს ტრაღიკულათ გარდაიცვალა პირველის საყვარელი შვილი, მეორენის და მესამენის ძმა, მეოთხენის ცოლის ძმა და მეხუთეს და მეექვსეს ძმის-წული

ზაქარია ილიას ძე მაჭავარიანი,

რომელიც ჩამოსვენებულ იქმნა ქ. თფილისში საკუთარ ბინაზე (მოსკოვის ქუჩა, № 7) 7 იანვარს. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

სახალხო სახლი

სახალხო სახლთან არსებული ქართული წარმოდგენების მმართველი წრე.

ოთხშაბათს, 10 იანვარს, 1918 წ. წარმოდგენილი იქნება:

ცხოვრების გარეშე

პიესა 4 მოქ. პროტოპოპოვისა, თარგ. თ. შველიძისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ბარათაშვილი, თ. გოგოლაშვილი, ელ. იანქოშვილი, ვ. მარგველაშვილი, ს. რომანიშვილი-დგებუაძისა. ბ. ბ. გ. ანაშვილი, ნ. გოცირიძე, ა. თავდგირიძე, ბ. მამაჯანოვი, ნ. ჭანკვატაძე, ქვრივიშვილი.

ადგილების ფასი 1 მ. 20 კ-დან 25 კ-დე. დასაწყისი საღამოს 7 ნახ. საათზე.

შემდეგი წარმოდგენა 14 იანვარს. რეჟ. კ. შათირიშვილი.

## წესები

შესახებ იმისა, თუ როგორ უნდა გამოითხოვონ ხელოსანი და სპეციალისტი მუშები კავკასიის არმიიდან იმ ქარხნებმა, რომელნიც მუშაობენ თავდაცვაზე და სახელმწიფო საჭიროებაზე.

1. ყველა ის წარმოებანი და ქარხნები, რომლებიც მუშაობენ სახელმწიფო თავდაცვაზე და სახელმწიფოს საჭიროებაზე,—და მსურველნი არიან იყოლიონ სპეციალისტი და ხელოსანი მუშები, რომელნიც უწინ მათ ქარხანაში მუშაობდენ—უნდა აღძრან თავისი შუამდგომლობა კავკასიის რაიონის საქარხნო საბჭოს შრომის განყოფილებასთან (თფილისი, გოლოვის პროსპ. № 22). ამასთანავე უნდა დაწვრილებით აღნიშნონ, მუშის სახელი, მამის სახელი, გვარი, წლოვანება, რა მოვალეობას ასრულებდა ქარხანაში ჯარში გაწვევამდე, და აგრეთვე სისწორით უნდა აჩვენონ ჯარის ნაწილი, სადაც მსახურებს გამოსაწვევი ესა თუ ის მუშა.

2. თუ რომ წარმოება ან ქარხანა საჭიროებს სპეციალისტ და ხელოსან მუშებს იმაზე ზედმეტს, რამდენიც ჯარში გაწვევამდე მათ ქარხანაში მუშაობდა,—მათი მოთხოვნილებანიც უნდა გაიგზავნოს კავკასიის რაიონის საქარხნო საბჭოს შრომის განყოფილებაში, მხოლოდ ამასთანავე უნდა აღნიშნონ რამდენი და რა სპეციალობის ხელოსანი მუშებია მათთვის საჭირო.

კავკასიის რაიონის საქარ. საბ. თავმჯდ. თანაშემწე დ. გ. აბხაზი.

1—1

1918 წ. იანვრის 7 თფილისში გამოვა ჟურნალი

„ახალი კვალი“

ორგანო ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციებისა.

თფილისის ორგანიზაციის კომიტეტი დაბეჯითებით სთხოვს დანარჩენ ორგანიზაციებს საჩქაროდ შეგვატყობინონ: 1) რამდენი ცალის გავრცელება შეუძლიათ; 2) თავისი, ან ორგანიზაციის აგენტის მისამართი; ეს ცნობები საჩქაროთ უნდა იქნეს მოწოდებული, რათა ჟურნალის გამოცემის საქმე არ შეფერხდეს. აგრეთვე გთხოვთ დაგვეხმაროთ მატერიალურათ და მოგვაწოდოთ მასალები.

ჩვენი მისამართი ჯერ-ჯერობით შემდეგია: Тифлисъ. Вера Матеріальная ул. № 3. Михаилу Чачуа.

მიიღება ხელის მოწერა 1918 წ. ყოველ დღიურ გაზეთ

„სოციალ-დემოკრატ“-ზე

ხელის მოწერის პირობები:

ერთი წლით 50 მან., ექვსი თვით 27 მან., სამი თვით 13 მან. 50 კაპ., ორი თვით 9 მან., ერთი თვით 4 მან. 50 კაპ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ.

განცხადების ფასი: პირველ და უკანასკნელ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება—2 საათამდის—10 მან.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება თვის პირველ და თხუთმეტ რიცხვებში შემდეგი ...ით: Кутаисъ, почт. ящ. № 9 Тутку Гварамія.

განცხადება.

თფილისის საქონლის სადგურის ხელის მომწერლების საყურადღებოთ ვაცხადებ, რომ ვისაც ქრისტეშობისთვის გაზეთ „ერთობის“ ფული არ გადაგიხდიათ გთხოვთ დაუყონებლივ შემოიტანოთ, ვინც არ შემოიტანს 15 იანვრამდე მათი სახელი და გვარი გაზეთში გამოცხადდება.

პატივისცემით საშა ჩიგოგიძე.

სამკურნალო კაბინეთი

ექიმი ალექსანდრე დავითის ძის

კეკელიასი

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ექიმი

დ. ი. ქორდანია

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები სისხლ ნაკლებობა. ქრონიკული მალიარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე).

ექიმი

ნ. პ. რუხაძე

იღებს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ყოველ დღე, გარდა კვირა დღეებისა საღამოს 6-დან 8 საათამდე. მიხეილის პრ., № 78; ბინა 2.

კბილის საექიმო

და ლაბორატორია ხელოვნური კბილებისა, დაარსებული

გ. ხაიკინა-შინკარევს

მიერ, თფილისი, მიხეილის პრ., ს., № 76.

ავათმყოფები მიიღება განუწყვეტლივ დღით და ღამით,

ღამით მორიგეობა ექიმებისა.

ექიმი ვ. გ. ვეშაპაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორაა, ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეხდის ქუჩა, № 19.

ექიმი პ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი

ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა.

ქსნიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტელის გვერდით. ტელ. 15—00.

ექიმი გ. გ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

## დამფუძნებელი კრება გარეკეს

ბალშევიკების ავანტიურას ბოლო არ უჩანს. ლენინ-ტროცკის უპასუხისმგებლო „მთავრობამ“ დამფუძნებელი კრება გარეკა და მით ერთხელ და სამუდამოთ ხალხის უფლებას, მთელი რევოლიუციონური დემოკრატიის ნება-სურვილებს სასიკვდილო ლახვარი ჩასცა.

სახალხო კომისარების ჯალათური ხელი ძლიერი გამოდგა. ბალშევიკების ლაშქარმა მშვიდობიან დემონსტრანტებს, რომლებიც დამფუძნებელი კრების სასარგებლოთ ქუჩაში გამოვიდნენ, გაუფრთხილებლათ სროლა აუტეხეს.

დამფუძნებელი კრების პირველ გარეკის დროს ბალშევიკები იმით იმართლებდენ თავს, რომ მაშინ კრების კვორუმი არ იყო შემდგარი და იქ თავი მოიყარა კადეტთა ზოგიერთმა წევრებმა და საბჭოების წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობდენო. მაშინ ბალშევიკები ხალხის სამართლიან რისხვის წინაშე ასე იმართლებდენ თავს და ვინც გარეკის წინააღმდეგ ხმას იმაღლებდა, მათ მოღალატეებსა და ცილის მწამებლებს ეძახოდენ. ისინი საქვეყნოთ გაიძახოდენ: ჩვენ დამფუძნებელი კრება არ გაგვირეკია, გავრეკეთ ზოგიერთა წევრები, რომლებმაც კვორუმის შედგენას არ მოუცადეს და თავიანთ კერძო პარტიულ-კონტრ-რევოლიუციონურ საქმეების მოწყობას აპირებდენო. ჩვენ დამფუძნებელი კრების მოწვევის წინააღმდეგნი არ ვართ, პირიქით, მისი მოწვევა ჩვენ დავაჩქარეთ და ჩვენ გვინდა იგი მოვიწვიოთო.

მაგრამ მდგომარეობა, საზოგადოებრივ ძალთა განწყობილება შეიცვალა და ბალშევიკებმაც თავიანთი დამოკიდებულება დამფუძნებელი კრებისადმი არსებითათ შესცვალეს. როცა უკვე ირკვეოდა დამფუძნებელი კრების არჩევნები და ბალშევიკები რწმუნდებოდენ, რომ მომავალ დამფუძნებელ კრებაზე, ისინი უმრავლესობაში არ იქნებოდენ, უხეშათ პოზიცია შესცვალეს და სხვა გვარი აგიტაცია დაიწყეს. მათ თავისებურ დემაგოგიის მეოხებით სოციალისტ-რევოლიუციონერები და მენშევიკები კონტრ-რევოლიუციონერების სახელით მონათლეს და მათაც ისევე უტეხავდენ ხალხში სახელს, როგორც ცენზიან ბურჟუაზიის წარმომადგენლებს. ეჭვს გარეშე, ბალშევიკებს არაფრათ ესიამოვნებოდათ, რომ დამფუძნებელ კრებაზე უმრავლესობა ესერები იქნებოდენ და ბალშევიკების დიქტატურას არ გაიზიარებდენ. გამართეს დაბალი ხარისხის დემაგოგია სოც.-რევოლიუციონერებსა და მენშევიკების წინააღმდეგ. ორივე პარტია ბურჟუაზიასთან ერთად კონტრ-რევოლიუციონერების სამოსელში გაახვიეს და ჰკათ მაგათო—მოუწოდებდენ ხალხს.

თავისთავად საგულისხმოა „კონტრ-რევოლიუციონერები“ დამფუძნებელი კრებიდანაც უნდა გაერეკათ და თვით ის ორგანოც დაეშალათ, სადაც ისინი თავს მოიყრიდენ. ამიტომაც იყვენ, ბალშევიკებმა თვით დამფუძნებელი კრების გარეკის აგიტაცია გასწიეს და დაშლას საქვეყნოთ იმუქრებოდენ.

აი—დანიშნეს დამფუძნებელი კრების მოწვევის დღე—5 იანვარი. და როცა გამოირკვა, რომ უმრავლესობას სოციალისტ-რევოლიუციონერები და დამფუძნებელი კრების მომხრე დეპუტატები შეადგენდენ, იგი გარეკეს. გარეკეს ისეთი დამფუძნებელი კრება, სადაც უმრავლესობას ესერები შეადგენდენ, ის პარტია, რომლის პროგრამიდან ბალშევიკებმა აგრარული პროგრამა სავსებით ისესხეს, და რომლის მეოხებით ფიქრობენ გლეხთა უმრავლესობის მოთხოვნილებას დააკმაყოფილებდენ. ეჭვს გარეშეა, აქ ესერებისა და მენშევიკების კონტრ-რევოლიუციონერობა არაფერ შუაშია; დამფუძნებელი კრების გარეკის საქმეში ბალშევიკები უმთავრესათ იმით ხელმძღვანელობდენ, რომ კრების უმრავლესობა მათ უტოპიურ სოციალიზმს არ გაიზიარებდა და მათ ავანტიურას ბოლო მოეღებოდა. იცოდენ, რომ დამფუძნებელი კრების უმრავლესობა სახალხო კომისრების „სოციალიზმს“ არ მიიღებდა და მას რუსეთის რევოლიუციის დამღუპველათ გამოაცხადებდა, და როცა ბალშევიკებმა გაიგეს, რომ მათი სოციალიზმის დეკლარაცია გამოხმაურებას არ იწვევდა დამფუძნებელი კრების უმრავლესობაში, აიღეს და იგი თოფითა და ხიშტით დაშალეს.

დიახ—ბალშევიკების ავანტიურა გატიტვლდა; იგი მთელ ქვეყანას მთელი თავისი სიგრძე-სიგანით გამოეჭიმა და მათ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის პროგრამა მინიმუმი საბოლავოთ უარყვეს. ბალშევიკები მონარქიზმიდან სოციალიზმის სამეფოში გადახტომას აპირებენ და ამ თავიდანვე პროლეტარიატის დიქტატურას აცხადებენ. ასეთი დროს შეუფერებელი დიქტატურა ეჭვს გარეშეა რუსეთის რევოლიუციას დიდ საფრთხეს მოუმზადებს და მას დაღუპვის კარებამდის მიიყვანს. სწორეთ ახლა მართებს დემოკრატიას მეტი სიფრთხილე და მეტი გონიერება—შეერთებულათ და შეკავშირებულათ გამოვიდენ ბალშევიკების წინააღმდეგ და მათი იერიშები მოიგერიოს. რევოლიუციონურ დემოკრატიის შეკავშირება და მისი დარაზმვა ერთად-ერთის თავდებია ბალშევიკების ავანტიურის დამხობის.

## შეიარაღების საჭიროება

თავისუფლება, რომლისთვისაც რამდენიმე თაობა იბრძოდა და სისხლს ღვრიდა საფრთხეშია ჩავარდნილი, რევოლიუციას განსაცდელი მოელის.

ხალხის შეერთებულმა ძალამ მოახდინა რევოლიუცია, ერთი მუჭა მდიდრების წინააღმდეგ ამხედრდა მშრომელი ხალხი—მუშა და გლეხი და მეფის ტახტი დაამხო. მაგრამ არც ერთი მნიშვნელოვანი, ხალხისთვის სასარგებლო ზომა ჯერ სავსებით განხორციელებული არ არის. მართალია მუშებმა მიიღეს რვა საათის სამუშაო დღე, მოიპოვეს კრების და კავშირის თავისუფლება, მართალია მიწა მშრომელ ხალხის საკუთრებათ არის გამოცხადებული, მემამულეებს ის აღარ ეკუთვნის და გლეხიც ერთ კაპეიკს არ გადიხდის ყოფილი ბატონის სასარგებლოთ, მაგრამ მუშაც და გლეხიც სულ ადვილათ დაკარგავს ამ მონაპოვარს, თუ არ ექნება ძალა. ეს ძალა ერთობაში და შეკავშირებაშია.

ეს კავშირი და ერთობა არსებობს, მუშები და გლეხები შეკავშირებულნი არიან თავიანთ საბჭოებში და ერთმანეთთან ხელი-ხელ ჩაკიდებულები მიდიან საერთო მიზნისკენ.

მაგრამ ცარიელი ერთობა არ კმარა.

მშრომელ ხალხს აუარებელი მტერი ყავს, როგორც შიგნით, ისე გარეთ. ფაბრიკანტი და მემამულე, ვაჭარი და სამღვდელოება ყველანი ეცდებიან გლეხის, მუშის და წვრილი მოქალაქის დაჩაგვრას. ძველი წყობილება მათ ყოველგვარ შეღავათს აძლევდა, მათ საკმაოთ ყავთ შეიარაღებული მომხრენი. ცხადია, დემოკრატიასაც იარაღი სჭირდება. ეს სამწუხარო, მაგრამ აუცილებელი მოვლენაა.

როგორი შეიარაღებაა საჭირო?

არსებობს ორი უმთავრესი სახე შეიარაღების: ერთია მუდმივი ჯარი, მეორეა—საყოველთაო სახალხო მილიცია.

ყველამ იცის, თუ რა არის მუდმივი ჯარი. ეს ნიშნავს მოქალაქეთა ყაზარმებში გამომწყვდევას, უმიზნოთ თოფქვეშ გაჩერებას მაშინაც კი, როცა არავისთან არ არის ომი. ყაზარმაში ცხოვრებით ჯარი ხალხს შორდება, მისი სულიერი განწყობილება იცვლება და გაბატონებული კლასები მას ხალხის საწინააღმდეგოთ იყენებენ.

მილიცია—ეს მთელი ხალხია, უკეთ რომ ვსთქვათ ხალხის ის ნაწილია, რომელსაც იარაღის ტარება შეუძლია. ის განსაზღვრულს დროს იარაღის ხმარებას სწავლობს, გაწრთვნის შემდეგ თავის ოჯახს უბრუნდება და მშვიდობიან ცხოვრებას განაგრძობს. ყოველ წელიწადს მოკლე ვადით ისევ იწვევენ ყველას სავარჯიშოთ, უკვე შესწავლილის გასამეორებლათ. ამგვარათ, ყველა, ვისაც კი იარაღის ტარება შეუძლია, გაწვრთნილია, სამხედრო საქმის მცოდნეა. საჭიროების დროს, თუ გარეშე სახელმწიფომ ომი გამოაცხადა, მთელი ამ შეიარაღებულ ხალხის ფეხზე დაყენება სულ ადვილათ შეიძლება. ასეთი შეიარაღებული ხალხი საუკეთესო დამცველია სამშობლოსი და თავისუფლების. ასეთია პატარა შვეიცარიის სახალხო მილიცია, რომელიც მშვენივრათ არის გაწვრთნილი სამხედრო საქმეში.

ცხადია, ჩვენ გვერდს ვერ ავუვ... შვეიცარიის მაგალითს. ეს ჩვენი პ... გრამის მოთხოვნილებაც არის. დღე... დელ პირობებში მილიცია საუკეთ... ფორმაა ხალხის შეიარაღებისა.

მაგრამ ასეთი მილიციის გაწრთ... დრო უნდა, რამდენიმე თვე მაინც ... ივლის, სანამ მთელს ხალხს შევაია... ლებდეთ და იარაღის ხმარებას ... სწავლიდეთ.

დრო კი არ ითმენს. რევოლიუ... ბუნებრივ მოწინააღმდეგეთა ჯგუფ... მამულე-ფაბრიკანტებს და მათ და... ლებს ემატება ყაჩაღთა ბრბოებ... ათასი სხვა ნაძირალები. ამათ წ... დეგ ბრძოლა დაუყოვნებლივ ... ესენი არიან ჩვენი შინაური მტ...

მაგრამ ჩვენ გვყავან აგრეთ... შე მტრებიც. ესენია მეომარი ... ფოები.

ბალშევიკებმა თუმცა დიდი ... გვითქვეს ზავი და დემოკრატ... კითხავად გერმანიის მთავრობ... ზავო მოლაპარაკებას შეუდგენ... დღეს უკვე ირკვევა ამ დაპირ... ფუძლობა. გერმანელებმა ერთ... დემოკრატიისთვის დამღუპველ... პირობები წამოაყენეს, რაც ბა... ბისთვისაც მიუღებელი უნდა იყ... სთვის მოიწვიეს მათ დამფუ... კრება. მაგრამ, როგორც მიღებულ... ბებიდან სჩანს, ბალშევიკებს გა... ხავთ დამფუძნებელ კრების გად... თავის მაჩანჩალათ და ბრძანებაც... გამოუციათ მისი გარეკის შესახებ. საძლებელია რუსეთში არსებული ა... დარევა კიდევ უფრო გაძლიერდეს, საძლებელია კიდევ უფრო აიწ... ცხოვრება და საერთო რევოლიუცი... რი ფრონტი საბოლოვოთ ... და დაიქსაქსოს.

ეს ერთი გარემოება კიდევ უფრ... თულებს და აუტანელს ხდის ჩვენს ... მარეობას. გარს ველური ტომები ... ხვევია. ჩვენი მეზობელი მუსულმ... ერთი ნაწილი არ არის საკმაოთ ... შირებული და დემოკრატიულად გა... ცნობიერებული.

ამიტომ ადვილათ შეიძლება ... წამოეგოს ბეგების პროვოკაციულ ... ზე. ეს მით უფრო მოსალოდნელია. ბეგები კარგათ გრძნობენ, რომ კავ... დემოკრატიის ერთობა მათთვის ... ბის, სიმდიდრის და გავლენის ... გვას ნიშნავს. ამიტომ არც ერთს ... შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებ... შეუგნებელი მასა მოგვისიონ.

საფრთხეში ვარდება არა მარტ... ვისუფლება და რევოლიუცია, ... საქმე ეხება ჩვენს არსებობას ... ნა-არყოფნას.

ოსმალეთი მარჯვეთ ისარგებ... ხერხებული შემთხვევით და ყა... ურდოები თავისუფლათ შემოიჭრე... ჩვენს მიწა-წყალზე. ეს მით უფრო მოსალოდნელია, რომ გერმანიასთან ზავი ვერ ხერხდება და ოსმალეთი ხომ გერმანიის ყურ-მოჭრილი ყმაა.

ჩვენ არ შეგვიძლია და არც გვინდა ომი, ჩვენ მტკიცე ნაბიჯით მივილტვით ზავისკენ, მაგრამ ჩვენ ვერ დავუშვებთ მოსალოდნელ დარბევას, ჩვენი ცოლშვილის შეურაცხყოფას, მამა-პაპათა საფლავის წაბილწვას, ჩვენი ქონების განადგურებას და სახელის გატეხას.

ამიტომ გვჭირია შეიარაღებული ძალა, რომ მტერმა ჩვენი საზღვარი არ გადმოლახოს და ჩვენს მიწა-წყალს არ შეესიოს.

მილიციის მოწყობას, როგორც ვთქვით, რამდენიმე თვე მოუნდება. მაშასადამე, საჭიროა ამ მილიციის მოწყობამდე არსებული ჯარის ნაწილები კიდევ დარჩენ რამდენიმე თვით სამხედრო სამსახურში. საჭიროა აგრეთვე ჯარში დაბრუნდენ ისინიც, ვინც ამდენ ხანს ემალებოდა თავის მოვალეობას.

მდგომარეობა მეტათ სერიოზულია. შინაურმა მტერმა უკვე წამოყო თავი, გარეშე მტერი თუმცა ჯერ სდუმს, მაგრამ მოხერხებულ დროს ელის ჩვენ... შესამუსრავათ. ასეთს დროს ვინ იქნ... ისეთი ბრიყვი და შეუგნებელი, ... თავის დაცვაზე ხელი აიღოს, ... ცოლშვილი ღვთის ანაბარა დასტ... თავის მიწა-წყალი მტერს გადმო... ოს და ძველი რეჟიმის მოყვარ... ახაროს.

ხალხი, რომელიც ას... ებრ... და მეფის ...

...მაშინ, როცა განსაცდელშია ...ო თავისუფლება, არამედ მთე... სიცოცხლე.
...მძიმე და საშიშ მდგომარეო... ...ოფებით ჩვენი პარტიული ორ... ...ი. ალმ. სრულებელი კომიტე... ...ელობის ორგანოე... ...ანხნას ხალხს ...კითხონ—სურს ... საქმე მტკიცე ...ყობილი.

## ...რესა

...საქმის" ნაციონალისტები, ...„სოციალისტ-ფედერალისტე-...რმით გამოდიან, საქართველოს ...დებლობის გამოცხადებას ითხო-...ახელებულ გაზეთის № 139-ში ...რობთ:

...თ დღევანდელი არეულ-დარეული ...ცხოვრება მოითხოვს ნაციონალი-... პოლიტიკის გაფართოვება-გა-...ბას და რომ კოსმოპოლიტური ...ება მოისპოს სამუდამოთ ყველ-... ყველაფერში. დაუყონებლივ ...ავახდინოთ ნაციონალიზაცია არა ...სკოლის, არამედ ყოველ ადგი-... დაწესებულების—სასამართლოს, ...კოოპერაციის, საქალაქო თვით-...ლობის, **პროფესიონალურ კავ-... მუშათა და სალდათთა საბ-...ბრობა-მრეწველობის, ფოს-...რაფი, რკინის გზის, ბან-...ვევ საზოგადოების,—ერთი ...ყველა დაწესებულებისა უმცი-...ავრესამდე"** (ხაზი ჩვენია).

...ოუ არა დღეს, მაგალითად, ...რკინის გზის ნაციონალიზა-...ცხორციელება—ამას „სახალხო ...პატრიოტები არ დაგიდე-... თავის პატრიოტულ ხელს ...ევენ, სადაც მათ არავინ ...ეს არის პროფესიონალური ... ფედერალისტებს ჰსურთ, ... ეროვნების მიხედვით დაი-... კლასიური ინტერესები ქარს

...რი ეს თურმე იმისთვის ყო-...რო, რომ:

...ვით ცხოვრების ეს დარგები ...წყო ნაციონალიზაციის საფუძვე-...ო ობიექტიურათ არ ჩამოყალიბ-...ვილებლობა საზოგადოდ პოლი-... ეროვნულ ცხოვრებისა—არა ...ვიპირდება **ერის ზრახვათა** სა-...ით განხორციელება, სრულადაც ...ახერგებთ საკუთარ ფეხზე დად-...და სასტიკათ დავმარცხდებით ... თვითმოქმედი და თვითმარ-...ოთეულები".

...თ ფედერალისტების **ერის** ... თურმე იმაში მდგომარეობს, ...შალოს მუშათა და გლეხთა ... პროფესიონალური კავშირები

...ცხადებთ, რომ ის, რასაც ფე-...ტები თხოულობენ, მათი საკუ-...ციონალისტური **ზრახვაა** ... დე-...ის ინტერესებთან მას საერთო ... აქვს.

* * *

...ჯანაშვილი მართლა გაჯავრე-...ნი შენიშვნის გამო და მკით-...ოუთხრობს „ერთობა" გაგვი-

...ების დამახინჯებასაც გვაბ-... სწერს: „ჩემ აზრს გაზეთი ... თავის მკითხველებს, თი-... ...იერ კავკასიის ერთობის წი-...გი ვიყო. რა თქმა უნდა ეს ...ალი არ არის".

საიდან სჩანს მერე ეს?

**ჯაჯანაშვილი** განაგრძობს:

„ჩვენ გვწამს კავშირი დამყარებული **ინტერესების** ერთობაზე"-ო, სწორეთ აქ ...რის ჩვენი უთანხმოების საგანი. ჩვენ ...წამს, რომ კავკასიის დემოკრატიას **...ნტერესების ერთობა** აკავშირებს, თქვენ ...კი ეს ერთობა არ გვწამთ, თორემ აბა ...როგორ იტყოდით მუშათა საბჭოების ...აციონალიზაცია უნდა მოხდესო.

საქმის გარემოებას ვერ სცვლის ბ. ...ჯანაშვილის შემდეგი მსჯელობა:

„ჩვენი აზრით, რევოლიუციამ და დე-მოკრატიამ უნდა უზრუნველჰყოს რეა-ლური შესაძლებლობა ერთა თვითგა-მორკვევისა".

რასაკვირველია, ჩვენ არ ვედავებით ფედერალისტებს, რომ **უნდა უზრუნ-ველჰყოს**, მაგრამ ნუ თუ ამ უზრუნველ-ყოფისთვის საჭიროა თუნდაც მუშათა ...ეპუტატების საბჭოს ნაციონალიზაცია. ...რა ფასი აქვს ყველა ამაების შემდეგ ...ჯაჯანაშვილის მტკიცებას: რევოლიუ-ციონურ ფრონტის ერთობის მომხრე ...ვენცა ვართო. ჭეშმარიტათ: არა „უფ-...ი უფალო"-ს ძახილი, შეიყვანს კაცს ...ფეველში!

* * *

...ი „ბრძოლა"-ს არ ეპიტნავა „ერ-...ს" დაბეჭდილი **თაგუნას** ფელე-... სხვა რომ ვერაფერი მოახერ-...ს პირადობის დამცირებას ...ს სწერს:

... თაგუნა? იგი ერთ დროს ...

...შესწევს რამდენიმეთ იუმორის ნიჭი, უბედურება ის არის, რომ ის სრულიათ უპრინციპო, უსაქმო, ზარმაცი მოხეტია-ლე ადამიანია, წყალ-წყალა, უნიადაგო, მუცლით მხოხავი (მენშევიკების წინა-შე)". ამიტომ, განაგრძობს გაზეთი, არ შეიძლება მას ზიზღით არ უყურებდეს მებრძოლი პროლეტარიატი და მისი პარტია" და სხვ.

არ შეგვიძლია გულის ტკივილით არ აღვნიშნოთ „ბრძოლის" ქუჩურ გაზეთად გადაქცევა. მხოლოდ ქუჩიდან მოსულ შემთხვევითს საეჭვო ღირსების ადამია-ნებს შეუძლიათ ასე წერა!

## დამფუძნებელ კრების ბარეშა

6—7 დეკემბერს თფილისში შემდეგი დეპეშები მოვიდა.

**პეტროგრადიდან** რადიოტელეგრა-ფით: „გუშინ, 5 იანვარს, მოხდა დამ-ფუძნებელ კრების გახსნა. დამფუძნებელი კრება გახსნა ამხ. სვერტლოვმა. თავ-მჯდომარეთ არჩეულ იქნა ჩერნოვი. ამხ. სვერტლოვმა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენ-ტრალური კომიტეტის სახელით წინა-დადება მისცა დამფუძნებელ კრებას ეცნო საბჭოების ძალა-უფლება და სა-ხალხო კომისართა საბჭოს მიერ გამო-ცემული ყველა დეკრეტები. საბჭოების ძალა-უფლებასთან დამფუძნებელ კრების დამოკიდებულების გამორკვევამდე დამფ. კრების წევრებმა ბალშევიკებისა და მე-მარცხენე სოც.-რევ. ფრაქციიდან და-სტოვეს სხდომის დარბაზი, დამფუძნე-ბელ კრების გახსნის დღეს მოხდა მანი-ფესტაციები, ჯარისკაცები, მუშები და მატროსები მანიფესტაციებში მონაწი-ლეობას არ იღებდენ. პეტროგრადში მოეწყო საზღვაო რევოლიუციონური კომიტეტი. ქალაქში წეს-რიგს იცავენ ჯარისკაცები, მუშები და წითელ გვარ-დიელები.

პოლიტიკურ განყოფილების უფროსის მოადგილე რიშკოვი.

**პეტროგრადიდან** დონის როსტოვით დამფუძნებელი კრება გაიხსნა; თავ-მჯდომარეთ 260 ხმით არჩეულ იქნა ჩერნოვი. ბალშევიკებმა წაიკითხეს თა-ვიანთი პროგრამა და წინადადება მის-ცეს კრებას მიიღოს ის, წინააღმდეგ შემთხვევაში დამფუძნებელ კრების გა-რეკით იმუქრებიან. ბალშევიკების სა-თავმჯდომარეთ კანდიდატმა სპირიდო-ნოვის ქალმა მიიღო 150 ხმა. დამფუძნე-ბელი კრების გახსნის გამო მომხდარ მანიფესტაციას წითელ გვარდიელებმა ესროლეს. ბევრი მუშებია მოკლული. როგორც ამბობენ, მოკლული უნდა იყოს დამფუძნებელი კრების ციმბირელი დეპუტატი ვოლგინი.

**მოსკოვიდან:** 5 იანვარს დილიდანვე: პეტროგრადში შიშიანობაა. ხმები გა-ვრცელდა, რომ ბევრ ალაგას წითელ-გვარდიელებმა გაუფრთხილებლათ ესრო-ლეს მანიფესტანტებსო. თავრიდის სა-სახლის ახლოს არავის არ უშვებენ. დე-პუტატებს გულ-მოდგინე რეგისტრაციის შემდეგ უშვებენ.

ფრაქციათა ოთახებში თათბირი სწარ-მოებს. იხსნება დამფუძნებელი კრება. ესერები წინადადებას იძლევიან თავ-მჯდომარეთ არჩეულ იქნას დეპუტატთა-გან უფრო ხნიერი, ბალშევიკები ამბო-ბენ—ყველაზე უფრო ახალგაზრდა ავირ-ჩიოთ, ხმაურობა და სტვენაა. უწესოება და ხმაურობა კრებაზე თანდათან ძლიერ-დება. ხმის უმეტესობით ირჩევენ თავ-მჯდომარეთ ჩერნოვს, რომელიც თავის სიტყვაში იმ აზრს ატარებს, რომ დამ-ფუძნებელი კრების ღირსებას დაიცავს და წინადადებას იძლევა კრებამ აირ-ჩიოს მდივნები. ბალშევიკები დაცინვით ამბობენ: აირჩიეთ კერენსკიო. ჩერნოვი არ უპასუხებს. ასახელებენ მდივნათ ვიშნიაკს. ვრცელ სიტყვას ამბობს ბალ-შევიკი ბუხარინი, ილაპარაკა აგრეთვე წერეთელმა. სხდომა გაგრძელდა დილის 7 საათამდე. ამ დროს გამოცხადდენ წითელ-გვარდიელები და გამოაცხადეს ბალშევიკების დეკრეტი დამფუძნებელი კრების დათხოვნის შესახებ (ეს ორი დე-პეშა კერძოთ გამოგზავნილია, დანარჩენი ქვემო მოყვანილი დეპეშები სააგენტოს მიერ არის გადმოცემული. სააგენტო ბალშევიკების ხელშია).

**პეტროგრადიდან:** ლაპარაკობს სა-ზღვაო საქმეთა კომისარი **დიბენკო**. ის ამბობს: ჩერნოვი აქ წინადადებას იძლე-ვა ფეხზე ადგომით პატივისცეთ რევო-ლიუციის ბრძოლაში დახოცილთა ხსოვ-ნას. ბალტიის ფლოტის სახელით მე ვა-ცხადებ, რომ ვუგზავნიდით რა წყევა-კრულვას კერენსკის, ჩვენ ვიღუპებოდით რევოლიუციაში. ჩვენ ვსცნობთ მხოლოდ საბჭოს მთავრობას, რომ ჩვენს მხარეზეა მთელი შეიარაღებული ძალა.

**შტეინბერგი**, რომელსაც მარცხნიდან ტაშის კვრით შეხვდენ, ამბობს, რომ რე-ვოლიუცია ესეც არის იწყება. პროგრა-მა უკვე შემუშავებულია, რაც ხალხმა უკვე მიიღო. ეს არის საბჭოთა მთავრო-ბა, რაც უკვე ცხოვრებაში ხორცს ის-ხამს—ყოველ დღე, ყოველ საათში ძლი-...

...წას, ზავს, მუშათა კანტროლს. ეს რევო-ლიუციის ღირსების შეურაცყოფაა. ყვე-ლა ეს ხალხმა უკვე იცის, ცხოვრებაში ანხორციელებს. უკეთუ დამფუძნებელი კრება თავს რაცას მშრომელი ხალხის ნების აღმასრულებლათ, მის წინ ერთად ერთი გზაა—სცნოს ხალხის ნება, რაიც განმარტებულია საბჭოთა პროგრამაში. დამფუძნებელი კრება რუსეთის ბატონ-პატრონი არ არის და არც შეუძლია იყოს ხალხის წინააღმდეგი, მან უნდა ქე-დი მოიხაროს ხალხის ნების წინაშე და არ გადასცდეს საბჭ. პროგრ. უკეთუ დამ-ფუძნებელ კრებას ეს პროგრამა არ მოს-წონს, უკეთუ აქ დამფუძნებელ კრებას საბჭოებთან უთანხმოება მოუხდება, ეს იმას ნიშნავს, რომ დამფუძნებელი კრება არა თუ ემორჩილება ხალხის ნებას, არა-მედ მას სურს ხალხზე გაბატონება. ამი-ტომ მემარცხენე ესერების ფრაქცია წი-ნადადებას იძლევა უპირველესათ კრებამ განიხილოს ცენტრალური აღმასრულე-ბელი კომიტეტის მიერ გამოქვეყნებული პროგრამა, ნუ იქნება გამოყოფილი ცალკე კითხვები, მათ შორის, საკითხი მთავრობის შესახებ. ცენტრ. აღმას. კომ. პროგრამა მთელი რუსეთის რევოლიუ-ციის პროგრამაა. თითოეული კითხვა ამ პროგრამისა ბრძოლის ჩიჟინაა. ამ პრო-გრამის ლოზუნგია,—ბრძოლაში ჰპოებ შენსა უფლებას. მიღებულ იქნა წი-ნადადება ორატორთა სიის დახურვის შესახებ.

**წერეთლის** ტრიბუნაზე გამოჩენას ცხა-რე ტაშისცემით შეხვდენ ცენტრში და მარჯვნით. მარცხნიდან სტვენითა და ყვირილით: „ძირს".

წერეთელს დიდხანს არ აძლევენ ლა-პარაკის საშვალებას იმდენათ ძლიერია ხმაურობა. ჩერნოვი წინადადებას აძლევს ბალშევიკებს ნუ ხმაურობენ და ნურც ისეთ მდგომარეობაში ჩამაყენებთ, რომ საჭირო დარჩეს სხვა ზომების მიღებაო. აბა, შინჯეთ, თუ შესძლოთ. თქვენი დრო წასულია, უპასუხებს მას კრილენკო. მიუხედავათ ხმაურობისა ბალშევიკებმა მოისმინეს წერეთლის სიტყვა, რომელიც ერთი საათი გაგრძელდა. წერეთელმა კრი-ტიკის ქარცეცხლში გაატარა ბალშევიკე-ბის მოქმედება და აღნიშნა, რომ ბალშევი-კების მოქმედება უმთავრესად მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ ეწევიან არსე-ბული წყობილების კრიტიკას, რომელიც მიაჩნიათ დრო-მოჭმულათ, მაგრამ მათ არავითარი შემოქმედებითი მუშაობა ჯერ არ გამოუჩენიათ და თითონ ბალ-შევიკებსაც საეჭვოთ მიაჩნიათ მათ მიერ არჩეული გზაო. ამით აიხსნება ის მოვ-ლენა, რომ მიუხედავათ მათი დამოკი-დებულებისა დამფუძნებელი კრებისადმი, ისინი მაინც მიმართავენ ამ კრებას და მოელიან მისგან მათი ნაღვაწის დას-ტურსო. მაგრამ რახან დამფუძნებელი კრება მოწვეულია, ის უნდა გახდეს სრულ-უფლებიან დაწესებულებათ. მხო-ლოდ დამფუძნებელ კრებას ეკუთვნის მთელი რესპუბლიკის ძალა-უფლებაო. სიტყვის შემდეგ წერეთელმა გამოაქვეყნა მენშევიკების სახელით დეკლარაცია.

**კუმპიანსკი** აცხადებს, რომ ის ესერე-ბის ფრაქციის სახელით ლაპარაკობს. როცა მას ეკითხებიან, რომელი ესერე-ბისო, ის უპასუხებს, რომ იცის მან ესე-რების მხოლოდ ერთათ ერთი პარტია.

მემარჯვენე ესერები წინადადებას იძ-ლევიან შემდეგი დღის წესრიგისას: ზავი, მიწა, სახელმწიფო მართველობის ფორმა, სახელმწიფოს მიერ წარმოების მოწეს-რიგება და სასურსათო საკითხი.

ბალშევიკების და მემარცხენე ესერე-ბის ფრაქციის წარმომადგენლები საკით-ხის ასე დაყენებაში ხედავენ დამფუძნე-ბელი კრების უმრავლესობის მიერ ცენ-ტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დეკლარაციის განხილვის უარყოფას და მოითხოვენ კრების დროებით შესწყვე-ტას შექმნილი მდგომარეობის გამოსარ-კვევათ. მემარცხენე ფრაქციების აურ-ზაურ-ხმაურობაში, რომლებიც მოითხო-ვენ კრების ორი საათით შეწყვეტას, კრება სწყდება ნახევარი საათით. კრე-ბის შეწყვეტა და თვით ეს თათბირი მეტის მეტ აღელვებულ ხასიათს ღებუ-ლობს. როცა სხდომა განახლდა, მას არ დასწრებიან ბალშევიკების და მემარცხ-ხენე ესერების ფრაქციები. ამის შემდეგ ისინი სხდომის დარბაზში აღარ გამოც-ხადებულან.

**სკობელევი** რიგს გარეშე ლაპარაკობს პეტროგრადის ქუჩებში მომხდარი მანი-ფესტაციების შესახებ.

შემდეგ ლაპარაკობს მემარჯვენე ესე-რების წარმომადგენელი ზავის შესახებ მთელი ერთი საათის განმავლობაში. მისი აზრით აუცილებლათ ზომები უნდა იქ-ნას მიღებული ზავის ჩამოსაგდებათ. ეს ზომები შემდეგში უნდა გამოიხატოს: უნდა შედგენილ იქნას კომისია მოლაპა-რაკების საწარმოებლათ, შემუშავებულ იქნას მიმართვა მოკავშირეთადმი, დამ-ფუძნებელმა კრებამ თავის ხელში უნდა აიღოს ბრესტში მოლაპარაკების საქმე, რათა მისი მუშაობა სწარმოებდეს არა სეპარატიული, არამედ საყოველთაო ზა-ვის გზით, მოწვეულ იქნას სოციალის-ტური კონფერენცია სტოკჰოლმში და ...

უკრაინელი ესერების სახელით რიგს გარეშე ლაპარაკობს ესერი **ოდაევსკი**. ჯერ ის აქვეყნებს უკრაინულ ენაზე და-წერილ დეკლარაციას. დეკლარაციის რეზოლიუციას კითხულობს რუსულ ენა-ზე. ის მოითხოვს: რათა დაუყოვნებლივ შეჩერებულ იქნას ყოველგვარი სამხედ-რო მოქმედება უკრაინაში, როგორც სა-ხალხო კომისარების, ისე გენერალური სეკრეტარიატის მხრით, რომ დამფუძნე-ბელი კრება შეუდგეს რუსეთის რესპუბ-ლიკის მოწყობას ფედერატიულ საფუძ-ველზე, რათა ზავის ჩამოგდება და აგ-რეთვე საზავო წინასწარი მოლაპარაკე-ბა სწარმოებდეს რუსეთში მოსახლე ყვე-ლა ერების წარმომადგენელთა მონაწი-ლეობით.

გლეხთა ჯგუფის სახელით ლაპარაკობს **მარკინი**, რომელიც მოითხოვს დამფუძ-ნებელი კრებისაგან ხელი მოჰკიდოს ზა-ვის და მიწის საკითხების გადაჭრას.

საბჭოთა ცენტრალური კომიტეტის სახელით ბალშევიკებმა დამფუძნებელ კრებაში შემდეგი დეკლარაცია გამოაქ-ვეყნეს.

### მშრომელი, გაჟვლეფილი ხალხის უფლებათა დეკლარაცია.

ცენტრ. აღმ. კომიტეტი აქვეყნებს შემ-დეგ ძირითად დებულებებს: დამფუძნე-ბელი კრება ადგენს: 1) რუსეთი ცხად-დება მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა რესპუბლიკათ, მთელი ძალა-უფლება როგორც ცენტრ-ში, ისე ადგილობრივათ გადადის ამ საბ-ჭოების ხელში; 2) საბჭოს რუსეთის რეს-პუბლიკა არსდება თავისუფალ ერთა თავისუფალი კავშირის შემწეობით, რო-გორც ფედერაცია ნაციონალურ საბჭო-თა რესპუბლიკებისა; 3) მიზნათ ისახავს ყოველგვარ ყვლეფას ადამიანისა ადამია-ნის მიერ და სრულიად მოსპობას საზო-გადოებრივ კლასებათ დაყოფვისა, უმოწ-ყალოთ დატუქსვა მყვლეფავთა, საზოგა-დოების სოციალისტურ ორგანიზაციებში გარდაქმნა და სოციალიზმის გამარჯვება ყველა ქვეყნებში. ამას გარდა, დამფუძ-ნებელი კრება ადგენს: მუხ. 1. მიწის სოციალიზაციის განხორციელება, კერძო საკუთრება უქმდება, მიწის მთელი ფონ-დი ცხადდება საერთო სახალხო კუთვნი-ლებათ და გადაეცემა მშრომელთ გამო-უსყიდავათ მიწის გამათანასწორებელი სარგებლობის საფუძველზე; მუხ. 2. და-დასტურებულ იქნას საბჭოთა კანტ-როლი, მუშათა კანტროლი სახალხო მე-ურნეობის უმაღლეს საბჭოში, რათა გა-ერთიანებულ იქნან მშრომელნი მყვლე-ფავთა წინააღმდეგ, ეს იქნება პირველი ნაბიჯი ფაბრიკების, ქარხნების, მაღა-როების, რკინის გზების, წარმოების სხვა საშუალებათა, ტრანსპორტის საქმის მუ-შათა და გლეხთა რესპუბლიკის საბჭოე-ბის ხელში გადასასვლელათ; მუხ. 3. და-დასტურებულ იქნას ყველა ბანკების მუ-შათა და გლეხთა სახელმწიფოს ხელში გადასვლა. ეს იქნება ერთი პირობათა-განი მშრომელთა კაპიტალის უღლისა-გან გასანთავისუფლებლათ; მუხ. 4. რათა მოსპობილ იქნას მუქთახორათა წრეები, მათი საზოგადოებანი და ორგანიზაციე-ბი, მეურნეობაში მყარდება შრომის სა-ყოველთაო ბეგარა; მუხ. 5. რათა უზ-რუნველყოფილ იქნას სრული ძალა-უფლება მშრომელი მასის ხელში და რომ საშუალება არ მიეცეს მყვლეფავთა კლა-სებს ძალა-უფლების ხელში ჩაგდებისა, დეკრეტის ძალით უნდა აღიარებულ იქ-ნას მთელი მშრომელთა შეიარაღება, უნდა შესდგეს სოციალისტური წითელი არმია მუშებისა და გლეხებისაგან და უნდა იარაღი აეყაროს შეძლებულ კლასებს. შეურყევლათ აღიარებს რა იმ ნაბიჯს, რომლითაც კაცობრიობა უნდა გამოგ-ლეჯილ იქნას ფინანსიური კაპიტალის და იმპერიალიზმის კლანჭებისაგან, რო-მელმაც სისხლით მორწყო დედა-მიწა ამ უდიდეს ომში, დამფუძნებელი კრება ერთხმათ უერთდება საბჭოთა მთავრო-ბის მიერ წარმოებულ პოლიტიკას, საი-დუმლო ხელშეკრულებათა გამოქვეყნე-ბას, მუშათა და გლეხთა დაძმობილების ფართო ორგანიზაციის მოწყობას მებრ-ძოლ სახელმწიფოთა ჯარებს შორის და რაც არ უნდა დაჯდეს, რევოლიუციო-ნური საშუალებით, დემოკრატიული, უა-ნექსიო და უკონტრიბუციო ზავის მიღ-წევას ერთა თავისუფალი თვითგამორ-კვევის საფუძველზე. ამ მიზნით დამფუძ-ნებელი კრება მოითხოვს სრულიად გა-წყვეტილ იქნას კავშირი ბურჟუაზიული ქვეყნების ბარბაროსულ პოლიტიკასთან, რაც დამყარებულია აზიაში მილიონო-ბით მცხოვრებ მშრომელთა დამონავება-ზე, საერთოთ ახალშენებში და პატარა ქვეყნებშიაც. დამფუძნებელი კრება მიე-სალმება სახალხო კომისართა პოლიტიკას, რომელმაც აღიარა ფინლიანდიის სრუ-ლი დამოუკიდებლობა, დაიწყო სპარსე-თიდან ჯარების გამოყვანა, გამოაცხადა სომხეთის თვითგამორკვევის თავისუფ-ლება. საბჭოთა მთავრობის კანონს მე-ფის მთავრობის მიერ აღებული ვალების გაუქმების შესახებ დამფუძნებელი კრება უყურებს როგორც პირველს ისარს საერ-თაშორისო ფინანსიური კაპიტალის გულ-ში ჩასობილს, რომ საბჭოთა მთავრობა წავა ამ გზით საერთაშორისო მუშათა ...

...ტალის ბატონობის წინააღმდეგ. დამ-ფუძნებელი კრება არჩეულია პარტიათა სიების საფუძველზე ოქტომბრის რევო-ლიუციამდე, როცა ხალხს არ შეეძლო მასსიურათ აჯანყება მყვლეფელთა წი-ნააღმდეგ, ხალხმა არ იცოდა, თუ რო-გორ წინააღმდეგობას ვაუწევდენ მყვლე-ფელთა კლასები თავიანთი პრივილეგიე-ბის შესანარჩუნებლათ, ამიტომ ხალხს ხელი არ მოუკიდია პრაქტიკულათ სო-ციალისტური საზოგადოების შესაქმნე-ლად, ამიტომ მან (დამფუძნებელმა კრე-ბამ) ფორმალური თვალსაზრისითაც კი უსამართლოთ უნდა მიიჩნიოს, დაუპირ-დაპიროს თავი საბჭოთა მთავრობას. დამფუძნებელი კრების აზრით ახლა, როცა გადამჭრელი ომი სწარმოებს ხალხსა და მყვლეფავთა შორის, არა-ვითარ მთავრობას არ უნდა ჰქონდეს ადგილი, გარდა მშრომელთა მასსის მთავრობისა. ძალა-უფლება უნდა ეკუთ-ვნოდეს სრულიად განსაკუთრებით მშრო-მელთა მასსას—მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა სრულ-უფლებიან წარმომადგენლობას. სცნობს რა საბჭოთა მთავრობას დამფუძნებელი კრება, სცნობს ის აგრეთვე სახალხო კომისართა მიერ გამოცემულ დეკრე-ტებს და აღიარებს საზოგადოების სო-ციალისტურ საფუძველზე გარდაქმნის სა-ერთო სადავო დებულებებს, ამასთან ერთად მიისწრაფვის რა შექმნას ნამ-დვილი თავისუფალი და ნების ყოფითი სრული და მაგარი კავშირი რუსეთში მცხოვრებ ყველა ერების მშრომელთა კლასებისა, დამფუძნებელი კრება საზ-ღვრავს მხოლოდ ძირითად საფუძვლებს საბჭოთა რესპუბლიკის ფედერაციისა— ნებას აძლევს რუსეთში მცხოვრებ ყველა ერთა მუშებს და გლეხებს მიიღონ და-მოუკიდებლათ თავიანთ სრულ უფლე-ბიან საბჭოთა ყრილობაზე,—სურს თუ არა მათ ან რა საფუძველზე ფედერა-ტიულ მთავრობაში და დანარჩენ ფე-დერატიულ დაწესებულებებში მონაწი-ლეობა.

ზემო მოყვანილი დებულებები უნდა წაკითხულ იქნას საბჭოს მთავრობის ოფი-ციალური წარმომადგენლის მიერ დამ-ფუძნებელი კრების ტრიბუნიდან.

მუსულმანთა სოციალისტურ ფრაქცი-ის თავმჯდომარე ამბობს, რომ კერენსკიმ ვერ გაამართლა ხალხის იმედები, მაგ-რამ ვერც ახალი მთავრობა გამოდგა ღირსეული, მან სისრულეში ვერ მოიყვა-ნა ნაციონალურ თვითგამორკვევის სა-კითხი. დასასრულ მან გამოაქვეყნა დე-კლარაცია.

**გრიგორიევი** ტომსკის ესერთა ჯგუ-ფის სახელით მოითხოვს დაუყონებლივ ჩამოაგდონ ზავი, თუნდაც სეპარატიუ-ლი.

ლატიშთა ფრაქციის წარმომადგენელი მოითხოვს კურლიანდიის თავისუფალ თვითგამორკვევას.

ლვოვიჩი ებრაელ პროლეტარიატის სახელით მოითხოვს დაუყონებლივ მოხ-დეს ზავი საერთაშორისო კონფერენ-ციის მოწვევით.

**მოსკოვი.** დამფუძნებელ კრების დამ-ცველი მოსკოვის კავშირი მოუწოდებს მთელ დემოკრატიულ რუსეთს შეერთდეს დამფუძნებელ კრების დასაცავათ აქ-ტიურათ სამოქმედოთ. მიიღოს ყოველივე ზომა დემონსტრაციებით, აგიტაციით და თუ საჭირო იქნა პოლიტიკურ გა-ფიცვითაც გაუწიონ ბრძოლა დამფუძ-ნებელ კრების მტრებს.

## ჩრდილო კავკასიის ამბები

თერგის ოლქის სამხედრო კომისარი ზვონარიოვი დეპეშით შემდეგს იტყობი-ნება:

თერგის ოლქში სრული ანარქიაა. ყველგან ძარცვა-გლეჯა, რბევა და ბრძოლაა. ერთის მხრით დგანან რუსი მცხოვრებნი და კაზაკები, მეორეს მხრით —ადგილობრივი მცხოვრებნი. კავკავში „პოგრომია". ძარცვავენ ინგუშთა და ოსთა მხედრები. მათ შეუერთდენ მახლო-ბელი აულების (სოფლების) მცხოვრებნი. გაძარცულია ცეიხგაუზი, ქარხნები, სა-ქონლის სადგური, სასურსათო მაღაზია, ადგილობრივი ჯარის ნაწილების კან-ცელარიები და კერძო ბინებიც. რბევის დროს ბევრია დახოცილი.

გუშინ სუნჟენის და თერგის სტანიცე-ბიდან ქალაქში მოდიოდა დასახმარებ-ლათ კაზაკთა არეული რაზმი. ქალაქის ახლოს მათ ესროლეს. კაზაკებმა უპასუ-ხეს. გაჩაღდა ბრძოლა. არიან მოკლულ-დაჭრილნი როგორც კაზაკების, ისე ინ-გუშების მხრით. კაზაკებმა დაიხიეს თერ-გის სტანიცისაკენ. გუშინდელი ბრძო-ლის შემდეგ ინგუშებმა იარაღი აჰყარეს ქალაქში კაზაკებს და აფიცრებს. იარა-ღი აჰყარეს აგრეთვე თავდაცვის კომი-ტეტის წევრ—მოქალაქეთ. ქალაქი სავსეა შეიარაღებული მთიულებით. ინგუშებსა და ოსებს შორის ძარცვა-გლეჯის ნია-დაგზე მეტოქეობამ იჩინა თავი. თითე-ული ამბობს—მეტი უფლება მე მეკუთვ-ნის ძარცვა-გლეჯის საქმეშიო. ამ ნია-დაგზე მათ შორის შეტაკებასაც ჰქონდა ადგილი.

თერგ-დაღესტანის მთავრობა სცემს დეკრეტს, ნიშნავს საგანგებო პირებს მძარცველების წინააღმდეგ საბრძოლვე-ლი ზომების მისაღებათ, მაგრამ საქმეს ამით არა შველის. არა მთიული მცხოვ-რებნი ქალაქს სტოვებენ. ყველა დაწე-სებულებები, სასწავლებლები, ფაბრიკა-ქარხნები გაჩერებულია. ფოსტა-ტელე-გრაფშიაც ფიქრობენ მუშაობის შეწყვე-ტას. ქუჩაში საშიშია სიარული დღითაც კი. დღითაც და ღამითაც შეუწყვეტელი სროლაა. საჭიროა რაიმე და-ხმარება, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ძმათა შორის სისხლის ღვრა ამიერ-კავ-კასიასაც მოედება. ყაზახთა ჯარის ნაწი-ლები უძლურია რაიმე იღონონ. ყაზახთა მთავრობაც დაიბნა და ვერავითარ ზო-მებს ვერ ღებულობს.

კავკავის მუშათა და ჯარისკაცთა დე-პუტატების საბჭომ შესწყვიტა მოქმე-დება. მისი ზოგიერთი წევრები სადღაც გაიქცენ. საარმიო ყრილობის დელეგა-ცია ინგუშეთში და ჩეჩნეთშია წასული ერთ კვირაზე მეტია და მის შესახებ არავითარი ცნობა არ არის. მცხოვრებნი იმდენათ დაშინებულნი არიან, რომ ვერ შეკრებილან რაიმე ზომების გამოსამუ-შავებლათ.

გროზნი—გუდერმესის მოზდოკის რკი-ნის გზის რაიონში ბრძოლაა კაზაკებსა და ჩეჩენ-ინგუშებს შორის ტელეგრაფი არ მოქმედობს გროზნისა, პეტროვსკა ბაქოს შორის. სადგური გუდერმესი სრუ-ლიად განადგურებულია. მოსამსახურენი გაიქცენ. როსტოვთან ტელეგრაფი არ მოქმედობს. დონის ოლქმა ყუბანს და-ხმარება სთხოვა. გაგზავნეს პლასტუნები ყუბანის კანონმდებელი რადა გადადგა მოხდება ახალი არჩევნები უფრო დე-მოკრატიულ საფუძველზე. ველით თქვენ-გნით დახმარებას.

---

**კავკავიდან** პირდაპირი მავთულით 7 იანვარს საღამოს თერგ-დაღესტნის მთავრობის თავმჯდომარე კაპლანოვი შემდეგს იტყობინება: მდგომარეობა კავ-კავში მეტად ცუდია. ძარცვა-გლეჯა უმწვერვალეს წერტილამდე მიაღწია, უმთავრესად ინგუშები და ოსები ეწე-ვიან ძარცვა-გლეჯას. ადგილობრივ მი-ლიციას არ შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს, ამიტომ მთიულეთის მთავრო-ბამ მიიღო თავის თავზე ქალაქის დაც-ვა. პირველ დღეს, შედარებით, მშვიდო-ბიანობა იყო, მაგრამ მეორე დღეს სუნ-ჟენსკიდან მიმავალმა 300 ყაზახმა „კუ-წა 7 ინგუში, რამაც ინგუშებში დიდი მღელვარება გამოიწვია და ქალაქის და-ცვაში ხელი შეგვიშალა. ამით ისარგებ-ლეს ბოროტ-გამზრახველებმა და კიდეც დაიწყეს ძარცვა-გლეჯა. შევადგინეთ აფიცერთა რაზმი. სამწუხაროთ, თო-ფები და პატრონები ნაკლებათ გვაქვს. ამიერ-კავკასია სისტემატიურათ უარს გვეუბნება და ეს ძლიერ ხელს გვიშლის შევაიარაღოთ საიმედო ელემენტები, იმ დროს, როდესაც ბოროტ-გამზრახველები ბლომათ შოულობენ იარაღს. სად. გუ-დერმესი გაანადგურეს ჯარისკაცებმა შემდეგ დასხდენ მატარებელზე, სწრაფათ გააქანეს და ამით გამოიწვიეს კატას-ტროფა. სად. კოხანოვსკაია დასწვეს ჩა-ჩნებმა 29 დეკემბერს. საზოგადოთ ინგუ-შებ და ჩაჩნებსა და ყაზახებ შორის მეტათ გამწვავებულია საქმე. ვფიქრობთ ყრილობის მოწვევას მშვიდობიანობის ჩა-მოსაგდებათ. განადგურებულია ყაზახ-თა მთავრობის სადგომი, საწყო-ბები, სახელოსნო და სხვ. სატუსაღოდან ტყვეები გაანთავისუფლეს, სატუსაღო დასწვეს, ძარცვა-გლეჯამ სტიქიური ხა-სიათი მიიღო. სადგურზე გაანადგურეს აფშერონის კავკავის პოლკის ნივთების საწყობი. განზრახულია ყველა ძველი ცხენოსნები დაითხოვონ და ახლები მო-იწვიონ. ინგუშები, როგორც ეტყობა გონს მოდიან და იმედი გვაქვს საქმეს მოვაწყობთ, თუ პროვოკაციულმა ხმებმა ხელი არ შეგვიშალა. დაწვრილებით არ შემიძლია ვსთქვა, რამდენი კაცია მოკ-ლული და დაჭრილი. მგონი არა უმეტე-სი 15—20 კაცისა. ყაზახთა მთავრობა ჩვენთან შეთანხმებით მუშაობს. კავკავის გარნიზონის უფროსათ იქნება ხაბაევი. გუდერმესთან რკინის გზის მოძრაობა სწარმოებს, სხვაგანაც, მაგრამ რა იქნე-ბა შემდეგ არ ვიცი.

დღეს პროვოკაციულ ნიადაგზე ინგუ-შებს და ოსებს შეტაკება მოუვიდათ, მაგრამ ჩქარა ბოლო მოვუღეთ.

სასარგებლო იქნება ამიერ კავკასიის კომისარიატმა და ნაციონალურმა საბ-ჭოებმა დელეგაცია გამოგზავნოს. ამას-თან საჭიროა ფულით და იარაღით დახ-მარება. იარაღის გამოგზავნა კავკავის სამხედრო გზით შეიძლება. და თუ არ დაგვეხმარეთ, ჩვენ საკუთარი ძალით არ შეგვიძლია თავდაცვა და ამას რა შე-დეგი მოჰყვება კავკასიისთვის, კარგათ იცით.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ქაღალდის ფული და მისი მომავალი.** ამხ. დ. დალინი ეხება ქაღალდის ფულის საკითხს და აღნიშნავს მისი რაოდენო-ბის თანდათანობითი ზრდას. ასე, მაგ. ძველი რეჟიმის უკანასკნელ დღეებში იყო გამოცემული 8 მილიარდი მანეთის ქაღალდის ფული! ბალშევიკების გამო-სვლის წინა დღეებში კი ეს რიცხვი 18 ნახევარ მილიარდამდე ავიდა.

…ავით, ეს ერთი შეხედვით …ჰგრამ მით უფრო სატი-…იდან ისინი, რომელნიც ამ …ობიან, თანდათანობით და … შთააგონებენ თავიანთ …ელი რუსეთი უპატიოსნო, …ხის ქვეყანაა და ამიტომ …ით ამ მხრით განწი-…

… თითონ წარმოიდგინეთ: …ლიუცია ხდება ხან იაპო-…გერიანიის ფულებით; კონტრ-…უცია კი სწარმოებს კადეტების …ისელების ფულებით, მაშ, სად-…ებული უანგარობა, სად არის ჩვე-…ებული სინდისიერება, ჩვენი იდეი-…მი, ჩვენი გმირული ლეგენდები, …თავისუფლებისათვის ბრძოლისა, ჩვენი …ონ-კიხოტობა და რუსის ხალხის …ვა მრავალ-გვარი საუკეთესო თვისება-…ი, რის შესახებაც აგრე ხმამაღლა ვქა-…დაგებდით როგორც ზეპირათ ისე წე-…რით?

…ნუ თუ ყველა ეს სიცრუე იყო?

შეისმინეთ,—როცა ერთი-მეორეს ბრა-…ლს სდებთ სისაძაგლეში, ამით თქვენ თავიანთ თავსა სდებთ ბრალს, ბრალსა სდებთ მთელს ერს.

…კითხულობ ბოროტებით აღვსილ წე-…რილს ბრალმდებლისა და უნებლიეთ გაგონდება ორლოვის ერთი გლეხის სიტყვები:

—„ჩვენი სოფელი სულ ერთიანად …თებითაა სავსე, არის მხოლოდ ერთი …ზხელი კაცი და ისიც—სულელიაო“.

…ა იგონებ იმ კეთილშობილურ, კანო-…ნიერ აღშფოთებას, რომელსაც ადგილი …ქონდა მუშებში, როდესაც შავრაზმუ-…ლი „რუსსკოე ზნამია“ ბრალს სდებდა „რეჩს“ ფინნების თუ ესკიმოსების რა-…ღაც ფულებთან დამოკიდებულებაში.

— ლაპარაკიც კი არ ღირს ამაზე— ეს არამზადები ისეთ რამეს ლაპარაკო-…ბენ, რის უფრო საძაგელი რამ არც კი …იძლება ადამიანმა გაიფიქროსო.

…მე ვფიქრობ, რომ საკმაოდ გასაგე-…ი და მარტივათ ვწერ და ამიტომ …აზროვნე მუშებმა არ უნდა დამსდონ …ალი იმაში, თითქოს „პროლეტარია-…ს საქმეს ვუღალატე“. მუშათა კლასი … მიმაჩნია ძლიერ კულტურულ ძალათ …ნს ბნელეთით მოცულ გლეხურ (მუ-…კურ) ქვეყანაში, მე სულითა და გუ-…ით ვუსურვებ მუშათა კლასს, როგორც …ოდენობითი ისე თვისებითი განვითა-… მე არა ერთხელ მითქვამს, რომ …ით ერთი ქვა-კუთხედია … რომ მრეწველობის განვი-…ილებელია ქვეყნის დასახ-…ის გასაევროპიელებლათ, რომ …ლო მუშა არა თუ ფიზიკური, …დ სულიერი ძალაა, არა თუ სხვისი … ამსრულებელია, არამედ—ისეთი …მიანია, რომელიც თავის ნებას, თავის …იერებას ცხოვრებას შეასისხლხორ-…. ის იმდენათ არ არის დამოკიდე-… ბუნების სტიქიური ძალისაგან, …რც ამ ძალთაგან დამოკიდებულია …, რომლის სამძიმო შრომა უჩინა-…ყველაფერს, რასაც გლეხი ამუშა-…ჰყიდის და სჭამს, გლეხის მთელ …ნეს მიწა ნთქავს, მაშინ, როცა …შრომა მიწას ზევით რჩება, ის …რებს ამ მიწას და ხელს უწყობს …ძალთა ადამიანის ინტერესები-…რჩილებას.

…ამ გვარ სხვადასხვაობაშია …ღრმა განსხვავება მუშის … მხარეებს შორის და მე …ებულ მუშას როგორც დე-… არისტოკრატს.

…წორედ ასეა: არისტოკრატია დემო-…კრატიას შორის, ასეთია მუშათა კლა-…სის როლი ჩვენს „მუჟიკურ“ ქვეყანაში, აი რათ უნდა გრძნობდეს თავს მუშა. სამწუხაროდ, ის ამას ჯერ-ჯერობით ვერ გრძნობს. ცხადია, თუ როგორ დი-…დია ჩემი დაფასება მუშათა კლასის რო-…ლისა …უსეთის კულტურის განვითარე-…ბის …მეში, მაგრამ მე არ მაქვს არა-…ვითარი საბუთი ჩემი ასეთი აზრი შევი-…ცვალო. ამას გარდა, მე მიყვარს მუშა …კაცი, ნათესავურ კავშირს ვგრძნობ მის-…თან, მიყვარს და პატივსა ვცემ მუშის …დიდებულ შრომას, მაგრამ … მე მი-…ყვარს რუსეთი.

…სახალხო კომისარები, უეჭველია, ზი-…ით ხითხითებენ, მაგრამ ეს მე ვერ …ქრობს. დიახ, მე მიყვარს რუსეთი, …ის ხალხი!

…ენ, რუსები, ისეთი ხალხი ვართ, …ელთაც თავისუფლად არ გვიმუშავ-… მთელი ჩვენი ძალების, ნიჭის გან-…რება ვერ მოგვისწრია და სანამ მე …ქრობ, რომ რევოლიუცია მოგვცემს …ლებას თავისუფლად მუშაობისას, …მედების ყოველმხრივ განვითარე-…ას, ჩემი გული დიდის იმედებით და …არულით ივსება ამ დაწყევლილ, სის-…ისა და ღვინის ნიაღვრის დღეებშიაც.

… საფუძველი ეყრება ჩემი შეურიგებ-… და განწირების ხაზს სახალხო …ს „გონიერებას“ მოკლებულ …ონ.

იდეური მაქსიმალიზმი მეტად სასარ-გებლო საქმეთ მიმაჩნია რუსის მოდუ-ნებული სულისათვის—ამ მაქსიმალიზმმა მასში უნდა აღზარდოს დიდებული და გაბედული მოთხოვნები, უნდა დაბადოს დიდი ხნის აუცილებელი საქმიანობა, აქტივობა, გაანვითაროს ამ მოდუნებულ სულში ინიციატივის წყურვილი, ფორმა მისცეს მას, გამოაცოცხლოს ის.

მაგრამ პრაქტიკული მაქსიმალიზმი ანარქო-კომუნისტებისა და სმოლნის ფანტაზიორებისა დამღუპველია რუსეთი-სათვის და უპირველესად ყოვლისა რუ-სის მუშათა კლასისთვის.

სახალხო კომისარები რუსეთს ისე ეპყრობიან, როგორც საცდელ მასალას, რუსის ხალხი მათთვის ის ცხენია, რომელსაც მეცნიერი ბაქტერიოლოგები აუცრიან სახადს, რომ ცხენმა თავის სისხლში მოამზადოს სახადის საწინაალ-მდეგო შრატი. სწორედ ასეთ საშიშარ და წინდაწინვე ცნობილ უშედეგო ცდას ახდენენ სახალხო კომისარები რუსის ხალხზე. იმაზე კი აღარ ფიქრობენ, რომ განაწამები, ნახევრათ მშიერი ცხენი დაიხრჩობა!

სმოლნის რეფორმატორებს რუსეთზე ფიქრი არ აწუხებთ. ისინი გულ-გრი-ლათ სწირავენ მსხვერპლად რუსეთს მსოფლიო თუ ევროპის რევოლიუციას.

რუსეთის ცხოვრების არსებულ პირო-ბებში ადგილი არ აქვს სოციალურ **რე-ვოლიუციას**, ვინაიდან არ შეიძლება ერთი დაკვრით მცხოვრებთა 85 პრო-ცენტი გლეხობის სოციალისტებათ გარ-დაქმნა, რომელთა შორის რამდენიმე ათეული მილიონი სხვადასხვა ერის მომთაბარე ხალხი ცხოვრობს.

ასეთი უგნურზე უგნური ცდისაგან უპირველესად დაზარალდება მუშათა კლასი, ვინაიდან ის რევოლიუციის მოწი-ნავე რაზმია, ის პირველად გაიჟლიტება სამოქალაქო ომში და უკეთუ გაიჟლი-ტება და განადგურდება მუშათა კლასი, ეს ნიშნავს, რომ განადგურებული იქნება ქვეყნის საუკეთესო ძალა, მისი იმედი.

და აი, მივმართავ რა იმ მუშებს, რო-მელთაც შეუგნიათ თავიანთი კულტუ-რული როლი ამ ქვეყანაში,—ვეუბნები: პოლიტიკურათ ცოტათი გაწვრთნილი პროლეტარიატიც კი ჩაუკვირდება საქ-მის შინაარსს, დაკვირვებითვე შეაფა-სებს თავის დამოკიდებულებას სახალხო კომისარების მთავრობისადმი, მეტის-მეტი სიფრთხილით უნდა მოეპყრას ის მათ სოციალურ შემოქმედებას.

ჩემი აზრი კი ასეთია: სახალხო კომი-სარები ანადგურებენ და ღუპავენ რუსე-თის მუშათა კლასს, ისინი საშინლად და სულელურად ართულებენ მუშათა მო-ძრაობის საქმეს; აშორებენ რა ამ მო-ძრაობას გონიერების საზღვარს, ისინი ქმნიან საძნელო პირობებს პროლეტა-რიატის მომავალი მუშაობისათვის და საერთოდ ქვეყნის მთელი პროგრესისათ-ვის.

ჩემთვის სულ ერთია, რაც არ უნდა მიწოდონ ასეთი აზრებისათვის ექსპერი-მენტების და ფანტაზიორების „მთავრო-ბამ“, მაგრამ მუშათა კლასის და რუსე-თის ბედი ასევე სულ ერთი არ არის ჩემთვის.

და სანამ ძალა შემწევს, მუდამ ჩავძა-ხებ რუსეთის პროლეტარიატს:

— „შენ დაღუპვისაკენ მიჰყევხარ, შე-ნით სარგებლობენ როგორც მასალით, რომ არა ადამიანური ცდა მოახდინონ შენზე, შენი ბელადების თვალში შენ ჯერ კიდევ არა ხარ ადამიანი!“

## კავკ. პროფ. კავშ. პირვე-ლი კონფერენცია

### უმუშევრობა და მის წინააღმდეგ ბრძოლა.

მოხსენება გააკეთა ამ საკითხის შე-სახებ ამხ. პ. აზატიანმა 29 დეკემბრის სხდომაზე. მცირე კამათის შემდეგ ყრი-ლობამ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: „ნორმალურ დროს, როცა ომი არ არის, უმუშევრობა არის შედეგი სამრეწველო კრიზისების, ზოგიერთ სამუშაოთა „სე-ზონურ“ ხასიათისა და წარმოების ანარ-ქიით გამოწვეულ მრავალ სხვა გარემო-ებათა და არა მუშათა კლასის ბოროტი სურვილებით, უკანასკნელ 3 წლის გან-მავლობაში გამანადგურებელ ომისა და რუსეთის ეკონომიურათ ჩამორჩენის გა-მო უმუშევრობამ ჩვენში იმატა. ამ ჟა-მათ კი, ჯარის დემობილიზაციის მოუ-წესრიგებლობა და განთავისუფლებულ მოქალაქეთა მისაღებათ მოუმზადებლობა უმუშევართა რიცხვს მრავალ მილიო-ნამდე აიყვანს.

უმუშევართა რაოდენობის ზომაზე მე-ტათ გაზრდა და მისი საშიში ხასიათი ამ ჟამათ გადაჭრით გვიკარნახებს ჩვენ ამ საქმეში არა მარტო მუშათა ორგა-ნიზაციების, არამედ—სახელმწიფო ძალა უფლების და ადგილობრივ თვითმმარ-თველობათა ორგანოების ჩარევასაც.

იღებს რა ზემონათქვამს სახეში, კონ-ფერენციას საჭიროთ მიაჩნია უმუშევ-რობის წინააღმდეგ საბრძოლველათ შემ-დეგი ზომების წამოყენება:

1) საჩქარო ზომების მიღება მრეწვე-ლობისა და ვაჭრობის გასავითარებლათ და, უპირველეს ყოვლისა, დახურულ სა-ვაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა ასამოძრავებლათ. დაუყონებლივ უნდა შემუშავდეს პროფესიონალურ კავშირე-ბის მონაწილეობით მრეწველობის დემო-ბილიზაციის გეგმა. მიღებულ უნდა იქნეს ზომები მრეწველობის მოსაწესრიგებლათ და მასზე კონტროლის დასაწესებლათ და მალულ ლოკაუტების წინააღმდეგ საბ-რძოლველათ წარმოებათა სახელმწიფოს ხელში გადასვლამდეც კი.

2) მიწის საკითხის, რაც შეიძლება, დაჩქარებით გადაჭრა და ღარიბ გლეხ-თათვის მუშა საქონლისა და საწარმოვო იარაღების მიცემა.

3) 8 საათის სამუშაო დღის თანდათა-ნობით ცხოვრებაში გატარება.

4) ზედმეტი და ნაჭრობით მუშაობის გაუქმება.

5) მცირე-წლოვანთა შრომის აკრძალ-ვა და ქალთა შრომის განსაზღვრა მუ-შათა ორგანიზაციების მიერ მიღებულ ჩარჩოებში.

6) საზოგადოებრივ სამუშაოთა მოწ-ყობა მუშათა ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით. ამ სამუშაოებს უნდა ჰქონდეთ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებ-რივი აუცილებლობის და არა ქველმოქ-მედების ხასიათი.

7) იაფ სასადილოების, საჩაიების, სა-ერთო საცხოვრებელ და ღამის გასათევ სახლების მოწყობა. ყველა ამ დაწესე-ბულებებს არ უნდა ჰქონდეთ საქველმო-ქმედო ხასიათი.

8) მუშათა ორგანიზაციების საშუა-ლებით დაუყონებლივი შემოღება სავალ-დებო სახელმწიფოებრივ და კომუნალურ დაზღვევისა უმუშევრობისაგან, რისთვი-საც კაპიტალისტებს უნდა დაეკისროს საგანგებო გადასახადი.

9) პარიტეტულ საფუძველზე უფასო, ნეიტრალურ ქალაქის ბირჟების გახსნა ორივე მხარისათვის.

10) მუშათა და მოსამსახურეთა დასა-ქირავებლათ არსებულ ყველა კერძო კანტორების დახურვა.

11 მორიგეობა მუშაობის დროს.

12) პროფესიონალურ კავშირების მიერ ფონდის შექმნა უმუშევართათვის და სამგზავრო ხარჯების მიცემა მათ-თვის“.

### შრომის ბირჟები.

ამხ. თუმანოვის მოხსენების შემდეგ 30 დეკემბერს შრომის ბირჟების შესა-ხებ მიღებულ იქნა შემდეგი რეზო-ლიუცია: „სცნობს რა უმუშევრობის წი-ნააღმდეგ საბრძოლველათ ერთ-ერთ აუცილებელ ზომათ მუნიციპალურ ბირ-ჟების მოწყობას, კავკასიის პროფესიო-ნალურ კავშირთა პირველ კონფერენ-ციას საჭიროთ მიაჩნია:

1) რომ მუნიციპალური ბირჟები იყოს მოწყობილი პარიტეტულ ნიადაგზე ნეი-ტრალური და ორივე მხარეს უწევდეს დაქირავების დროს საშუამავლო დახმა-რებას უფასოთ.

2) ეს ბირჟები გარდა დაქირავების დროს საშუამავლო დახმარების უფასოთ აღმოჩენისა უნდა აწარმოებდენ შრომის როგორც მოთხოვნილების, ისე მიწოდე-ბის სწორ ანგარიშს, რისთვისაც:

3) მთელი მოთხოვნილება და მიწო-დება უნდა გატარდეს მხოლოდ შრომის ბირჟაში.

4) მუშების დასაქირავებელი ყველა კერძო კანტორები ამ ახლო მომავალში უნდა დაიკეტოს.

5) მუნიციპალური ბირჟების მთელი მოქმედების გასაერთიანებლათ და ოლქში ზედმეტ მუშათა ხელის თანასწორათ გასანაწილებლათ უნდა მოეწყოს სა-ოლქო შრომის ბირჟები, რომლებსაც ყოველთვის უნდა ჰქონდეთ დამოკიდე-ბულება ერთმანეთში და რომელთა სა-თავეში უნდა იდგეს ერთი, სრულიათ რუსეთის ცენტრალური ბირჟა, რომე-ლიც ხელმძღვანელობას გაუწევს შრო-მის ბაზარს საერთო სახელმწიფოებრივ მასშტაბით.

6) მუშათა ორგანიზაციებმა თავის მხრით მთელი თავისი ძალღონე უნდა მოახმარონ ადგილობრივ შრომის ბირ-ჟების დაჩქარებით მოწყობას და შემ-დეგშიაც კავშირი უნდა დაიჭირონ ამ ბირჟებთან, როგორც ისეთ დაწესებუ-ლებებთან, რომლებიც იცავენ მუშათა ინტერესებს და დახმარებას უწევენ მას კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში“.

### პროფესიონალურ კავშირების კულტუ-რულ-განმანათლებელი მუშაობა.

ამ საკითხის შესახებ 29 დეკემბრის სხდომაზე მოხსენება გააკეთა ამხ. კულა-კოვმა. მცირე კამათის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „კლასო-ბრივი ბრძოლის გამარჯვებით დაგვირ-გვინება და პროფესიონალურ კავშირთა მჭიდროთ გაერთიანება დამოკიდებულია მუშათა შეგნებაზე. კავშირის მხოლოდ განვითარებული წევრები შეიძლება იყვენ რწმენით სოციალისტები და პრო-ფესიონალურ ორგანიზაციების ერთ-გული.

აღიარებს რა, რომ ამ კლასობრივი ბრძოლის გამარჯვებით დაგვირგვინებას ძალზე უშლის ხელს ადგილობრივ მუშე-ბის განვითარების დაბალი დონე, კავკა-სიის პროფესიონალურ კავშირთა პირ-ველი კონფერენცია ფიქრობს, რომ კავ-კასიის პროფესიონალურ კავშირთა წი-ნაშე დგას გადაუდებელი საქმე—კულ-ტურულ-განმანათლებელ მოღვაწეობის მოწყობა.

სცნობს რა ასეთ მოღვაწეობას მო-მენტის პირველ ხარისხოვან საქმეთ, კონფერენცია ფიქრობს, რომ მისი სის-წორით და ნაყოფიერათ მოწყობა მოი-თხოვს შემდეგი საგანგებო ორგანოების დაუყონებლივ შექმნას:

1) ყველა პროფესიონალურ კავშირებ-თან და ადგილობრივ საბჭოებთან უნდა მოეწყოს კულტურულ-განმანათლებელი კომისიები, რომლებიც ერთდებიან და ადგილობრივ მასშტაბის ჩარჩოებში ეწე-ვიან შეთანხმებულ მუშაობას.

2) სხვადასხვა ეროვნებების მუშათა შორის კულტურულ-განმანათლებელ მუ-შაობის საწარმოებლათ შესაძლებელია კავშირის შიგნით კავშირის საერთო კულტურულ-განმანათლებელ კომისიის ხელმძღვანელობითა და საზოგადო კასის ხარჯზე ნაციონალურ კულტურულ-გან-მანათლებელ კომისიის მოწყობა.

3) ოლქში და ადგილობრივ კულტუ-რულ-განმანათლებელ ნაწილის საერთო სახელმძღვანელოთ უნდა დაუყოვნებლივ მოეწყოს ადგილობრივ და საოლქო სა-განმანათლებლო კომიტეტები, რომლებ-შიაც შევლენ პროფესიონალური კავში-რების, სოციალისტური პარტიების, მუ-შათა კოოპერატივების, მუშათა საგანმა-ნათლებლო კლუბების და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა წარმომადგენლები.

4) სცნობს რა, მიუხედავათ ამისა, კულტურულ-განმანათლებელ მოღვაწეო-ბის მიზნების მთელ სირთულესა და სი-ფართოვეს, მაგრამ იღებს რა მხედვე-ლობაში კავკასიის პროფესიონალურ მო-ძრაობის წინაშე მდგარ მიზნებს—კონ-ფერენცია იმუშავებს შემდეგ საერთო პროგრამას:

ა) პროფესიონალურ და სოციალურ საკითხების შესახებ კავშირებში პრო-პაგანდა-აგიტაციის სისტემატიურათ მო-წყობა.

ბ) მუშათა საგანმანათლებლო კლუბე-ბის მოწყობა; მათში სათეატრო და ლიტერატურულ ჯგუფების დაარსება სასიმღეროთ, სადეკლამაციოთ და სო-ციალისტურ, კლასიკურ და ახალი ლი-ტერატურის ნაწარმოებთა საკითხავათ,

გ) კურსების დაარსება პროფესიონა-ლურ და მუშათა მოძრაობის თეორიისა და პრაქტიკის შესასწავლათ, პროფესიო-ნალურ საქმის მოღვაწეთა მოსამზადებ-ლათ.

დ) სახალხო უნივერსიტეტთა დაარ-სება ზოგად საგანმანათლებლო პროგრა-მით.

ვ) პროფესიონალურ კავშირებთან ცენტრალური ბიბლიოთეკის დაარსება.

ე) ყრმათა და ქალთა შორის აგიტა-ციის მოწყობა.

ე) საგამომცემლო საქმის მოწყობა (პროფესიონალურ ჟურნალების, საგანგე-ბო ფურცლების და წიგნების).

5) კონფერენციას საჭიროთ მიაჩნია წერა-კითხვის შესასწავლათ სკოლების გახსნა პროფესიონალურ კავშირის წევ-რებისა და მათი ოჯახებისათვის; ამ სკოლებისათვის დახმარება შეიძლება სთხოვოს დემოკრატიულ საბჭოებს. ამ სკოლებში, სადაც ივლიან უმთავრესად ახალგაზრდობა, უნდა აწარმოვონ პრო-ფესიონალურ მოძრაობის იდეიათა პრო-პაგანდა“.

## მუშათა შორის

**ხაშური.** 29 დეკემბერს შესდგა ხა-შურის მუშათა სექციის მორიგე კრება, სადაც განსახილველი იყო შემდეგი კით-ხვები: მოხსენება გორის ინტერპარტიულ ყრილობის შესახებ; გორის მაზრის საბ-ჭოების ცენტრის შექმნა; თავდაცვა.

გორის ინტერპარტიულ ყრილობის შესახებ მოხსენება გააკეთა ნ. პატარი-ძემ. საერთოთ მან აღნიშნა ყრილობის მოწვევის მიზეზი და მისი მოქმედების მიზანი მომავალში. დღეს, როდესაც მთე-ლი კავკასია და კერძოთ კი გორის მაზ-რა განუსაზღვრელ ანარქიას განიცდის, როდესაც უპასუხისმგებლო პირთა თა-რეში თანდათანობით ფართოვდება და მათ წინააღმდეგ შესაფერი ძალა არ არის დაპირდაპირებული, გორის ცენტ-რის პარტიულმა კომიტეტმა საჭიროთ სცნო მოეხდინა სხვადასხვა რევოლიუ-ციონურ ორგანიზაციების ინტერპარ-ტიული ყრილობა. ყრილობა გაიხსნა 28 დეკემბერს. ყრილობის მიზანი იყო შე-ექმნა ერთი მთლიანი რევოლიუციონური ორგანო სახელდობრ, ინტერპარტიული თავდაცვის კომიტეტი. ამ ყრილობაზე მომხსენებლათ გამოვიდა ნ. იმნაიშვილი და თფილისიდან მოწვეული ამხ. ალ. ლომთათიძე. როგორც პირველმა, ისე მეორე მომხსენებელმა აღნიშნა, რა დღე-ვანდელი მდგომარეობა, საჭიროთ სცნეს მთელი რევოლიუციონურ ორგანიზაციე-ბის ძალთა მობილიზაცია. მოუწოდებს ყრილობას შეერთება-შეკავშირებისაკენ და ერთი მთლიანი რევოლიუციონური ფრონტის აღდგენისაკენ.

ყრილობამ საჭიროთ სცნო სახალხო შე-იარაღება. ყოველივე ამას დახმარება და აღმოუჩინოს ინტერპარტიულმა საბჭომ. დასასრულ ყრილობამ მიიღო ამხ. იმ-ნაიშვილის წინადადება: შესდგეს გორის მაზრაში ინტერპარტიული თავდაცვის კომიტეტი, რომელიც იქნება გორის მაზ-რის საბჭოს განკარგულებაში და იმოქმე-დებს მის მიერ მოცემულ დირექტივის თანახმად. კომიტეტში შედის 15 კაცი. ქალაქის თვითმართველობებიდან ორი, პარტიულ ცენტრიდან ერთი, საბჭოები-დან თითო.

მოისმინა რა მუშათა სექციის კრებამ მოხსენება ინტერპარტიულ ყრილობის შესახებ, მოიწონა და გადავიდა მეორე საკითხზე. გორის მაზრის საბჭოების ცენტრის შექმნის შესახებ მოხსენებას აკეთებს ნ. იმნაიშვილი. მან აღნიშნა ცენტრის შექმნის აუცილებლობა და მისი შედგენის ტეხნიკური მხარე. კრებამ ფრიად საჩქაროთ და საჭიროთ სცნო მისი შექმნა.

თავდაცვის შესახებ მოხსენებას აკე-თებს ლ. მეტრეველი. თავის მოხსენება-ში მან სთქვა, რომ საჭიროა წითელ გვარდიის საქმის მოწესრიგება და მისი მოქმედების გარკვეულ ფარგლებში ჩა-მოყალიბება, ვინაიდან დღეს ისინი დიდ არევ-დარევას განიცდიან. ამიტომ ის მოითხოვს შესდგეს დროებითი კომისია, არჩეულ იქნას გვარდიის უფროსი, რომ საჭიროების დროს ვიცოდეთ ვისთან უნდა გვქონდეს საქმე.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი წინადადება: ვინაიდან ამ ახლო მომავალში უნდა შესდგეს ქალა-ქის თავდაცვის კომისია, ამიტომ მის შედგენამდე აირჩიეს წითელ გვარდიის დროებითი ხელმძღვანელი კომისია და მისი უფროსი. წითელ გვარდიის უფრო-სათ არჩეულ იქნა ვ. მაჭავარიანი. დრო-ებითი თავდაცვის კომისიაში შედის 4 კაცი: კორძაია, ფაჩულია, მეტრეველი და პატარიძე.

ვარ. მანელი.

**მზარეულთა კავშირის პროტესტი.** თფილისის მზარეულთა კავშირი სასტიკ პროტესტს უცხადებს სასტუმრო „ოტელ ნოი“-ში მომუშავე კოსტა ღლონტს, ვიქტორ სვანიძეს, ალექსი მეტრეველს, ვასილ ხარშილაძეს, დემეტრაშვილს, თ. შარევგაძეს, გიორგი სულაძეს, აბრამ … ოგანესიანცს სასტუმრო „ინტერნაციო-ნალ“-ში მომუშავე ივ. ბოდეველს, ფრი-დონ გოგლიძეს, სიმონ ქელიძეს და … სადილო „ოლიმპიაში“ მომუშავე … მეტრეველს, სიმონ გოგეშაშვილს, პე… კირვალიძეს და შალვა კირვალიძეს, რო-მელთაც დაივიწყეს კავშირის დადგენი-ლება და 25—26 ქრისტეშობისთვეს … შაობდენ.

მისარიატს, რომელიც ენერ… იცავს საერთოთ დემოკრატიის … რესს და გულის წყრომით პრ… უცხადებს იმათ, რომელთაც შეუ… რევოლიუციის ბელადი ნოე ჟორ… კ. ჩხეიძე, კ. წერეთელი, ევ. გეგე… და სხვა“.

შემდეგ კრებამ აირჩია 3 კა… კომისია, რომელსაც დაავალა გ… ლიოს და შეადგინოს დეზერტირ… რომელნიც დღემდე სამხედრო … საქმეს გაურბოდენ, ზოგი ყალბი … თებით სარგებლობდენ. ასეთები … ყოვნებლივ გაგზავნილი უნდა … ბათუმის ქართულ ბატალიონში და … რომელიმე პირი კიდევ ურჩობას გ… და ნებით არ წავა, იმ შემთხვევაში … ზერტირ მოღალატეთა სია წარედ… ბა ბათუმის ქართულ ბატალიონის … მიტეტს შესაფერ ზომების მისაღ… კომისია ვალდებულია მოაწყოს ახ… მახლობ სოფლებში ასეთი კომისიები … ეს დადგენილება სავსებით ცხოვრება… გაატარონ, ეს დადგენილება 10 დღ… განმავლობაში სისრულეში უნდა მო… ყვანონ. შემდეგ კრებამ აირჩია 3 კა… საგან ჯარისკაცთა სასურსათო კომის… რომელსაც ევალება შეუერთდეს სასო… ლო-სასურსათო კომისიას და მათთ… ერთად იზრუნოს დამშეულ ჯარისკა… თა ოჯახების სურსათის მიწოდების ს… ქმეზე.

უ. მაკაშვილი.

**ზურიის ამბები.** 16 დეკემბერს ოზურ… გეთში მიმდინარე მომენტის შესახ… გაიმართა დიდი სახალხო მიტინგი. მ… ტინგზე მოხსენება გააკეთა ამხ. რა… ჩიხლაძემ. მის შემდეგ ილაპარაკეს სხვ… დასხვა პარტიების წარმომადგენლებმ… მიღებული იქნა რეზოლიუცია, რომელ… შიაც სასტიკი პროტესტი და გული… წყრომაა გამოთქმული ბალშევიკების წი… ნააღმდეგ დამფ. კრების თათბირის გა… რეკის გამო. მოითხოვენ დამფუძნებელი… კრების დაუყოვნებლივ გახსნას და რე-ვოლიუციისა და თავისუფლების დასა-ცველათ დაუყოვნებლივ შეიარაღებულ ლაშქრების შედგენას.

…ეთივე მიტინგები გაიმართა ლიხა-…ოში, ასკანაში, ხიდისთავში, ჯვარცხმა-ში, დ. ჩოხატაურში, ხვარბეთ-მიქელ-გაბრიელ-ნატანებში, შემოქმედში, ლან-ჩხუთში და სხვა ადგილებში. ყველგან ოზურგეთის მიტინგზე მიღებული რეზო-ლიუციის მსგავსი განაჩენები იქნა გა-მოტანილი.

… დეკემბერს ქონ…

## პროვინცია

**სად. ჯუმათი** (გურია). 31 დეკემ-ბერს სად. ჯუმათში გაიმართა სუფ… ჩოჩხათ-ჯურუყვეთის საზოგადოების ჯა-რისკაცთა შეერთებული მიტინგი. მი-ტინგზე მოწვეული იყო ბათუმის ქარ-თული ბატალიონის საგანგებო დელეგა-ტები ამხ. პრაპორშჩიკ ირ. ქავჯარა… და ჯარისკაცები ვ. ლორია და ი. … დავა. კრებამ გამოიტანა შემდეგი რე-ზოლიუცია: „ვიღებთ რა მხედველობაში დღევანდელ კრიტიკულ მომენტს, რო-გორც მთელი რუსეთის, ისე ამიერ კავ-კასიის მოსალოდნელ სამოქალაქო ომს, ფრონტის დაცალიერებით მტრისგან გა-ნადგურება-აოხრებას, სურსათის უქონ-ლობით დამშევას და სხვა, საჭიროთ ვსცნობთ შევქმნათ ეროვნული შეერთე-ბული დემოკრატიული ფრონტი, რომე-ლიც უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავს ჩვენ სამშობლოს. შემდეგ კრე-ბა სალამს უძღვნის ამიერ კავკასიის კო-…

…საჯაროთ შემდეგი: „კავკა-რაბოჩი-ს“ წლევანდელ პირველ ნომერ-ში მოთავსებულია რეზოლიუცია საოლ-ქო საინტენდანტო სამმართველოს ყრი-ლობის, სახლში წამსვლელ სალდათთა შეიარაღების შესახებ, რასაც ბოლოში ჩემი გვარი აქვს მოწერილი.

ამით ვაცხადებ, რომ ასეთი რეზო-ლიუცია მე „კავკაზსკი რაბოჩი-ის“ რე-დაქციაში არ გამიგზავნია და როგორც სჩანს, ჩემ მაგივრათ ვიღაც სხვას მოუ-წერია ხელი, რასაც სისხლის სამართ-ლის კანონის ენით „პადლოგს“ ეძახიან.

პატივისცემით **გ. ახრახაძე.**


## ქართული უნივერსიტეტი

### თფილისში გაიხსნება 1918 წ. იანვრის შუა რიცხვებში

ამ თავითვე იქმნება სიბრძნის მეტყველების ჰუმანიურ მეცნიერებათა განყოფილება. ლექციები იქნება **საფილოსოფიო, საისტორიო, სალიტერატურო, საენათმეცნიერო, საპედაგოგიო და სოციალურ მეცნიერებათა დარგებიდან.**

[illegible]

ფოსტის ადრესი: **в канцелярию Грузинскаго Университета. Тифлис, здание Грузинской гимназии.**

ქართული უნივერსიტეტის დრ. გამგეობის წევრნი: **ა. ჯავახიშვილი. ივ. ჯავახიშვილი.**

(15—7)